

შპს ინფრა კონსტრაქშენ-თი-ქეი გრუპი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებულიწლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4-5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6-7

განმარტებითი შენიშვნები

8-25

შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,904,564	3,361,411
არამატერიალური აქტივი		0	0
		2,904,564	3,361,411
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	346,880	2,521,785
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	714,510	1,078,611
მარაგები	7	344,337	923,427
გადახდილი ავანსები	8	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	9	32,548	27,814
		1,438,275	4,551,637
მთლიანი აქტივები		4,342,839	7,913,048
მთლიანი კაპიტალი			
სხვა რეზერვები		-	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,090,796	6,881,350
		4,090,796	6,881,350
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	10	0	112,041
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	213,166	606,308
საგადასახადო ვალდებულებები	12	38,878	151,843
მიღებული ავანსი	13	0	486
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	14	0	161,020
		252,044	1,031,698
მთლიანი ვალდებულებები		252,044	1,031,699
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,342,839	7,913,048

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,904,564	3,361,411
არამატერიალური აქტივი		0	0
		2,904,564	3,361,411
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	346,880	2,521,785
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	714,510	1,078,611
მარაგები	7	344,337	923,427
გადახდილი ავანსები	8	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	9	32,548	27,814
		1,438,275	4,551,637
მთლიანი აქტივები		4,342,839	7,913,048
მთლიანი კაპიტალი			
სხვა რეზერვები		-	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,090,796	6,881,350
		4,090,796	6,881,350
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო	10	0	112,041
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	213,166	606,308
საგადასახადო ვალდებულებები	12	38,878	151,843
მიღებული ავანსი	13	0	486
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	14	0	161,020
		252,044	1,031,698
მთლიანი ვალდებულებები		252,044	1,031,699
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,342,839	7,913,048

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები	16	5,359,562	24,178,480
თვითღირებულება	17	(5,497,687)	(17,196,580)
საერთო მოგება		(138,125)	6,981,900
სხვა შემოსავლები	18	4,402	21,809
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(124,195)	(219,466)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდა		(11,685)	(2,164)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(265,831)	(57,057)
სხვა ხარჯები	20	(212)	(210)
საოპერაციო მოგება		(535,645)	6,724,811
ფინანსური შემოსავალი		-	64,352
ფინანსური ხარჯი		(54,229)	(168,016)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	21	(54,229)	(103,664)
მოგება დაბეგვრამდე	22	(589,874)	6,621,147
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(589,874)	6,621,147
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(589,874)	6,621,147

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის			
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები	16	5,359,562	24,178,480
თვითღირებულება	17	(5,497,687)	(17,196,580)
საერთო მოგება		(138,125)	6,981,900
სხვა შემოსავლები	18	4,402	21,809
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(124,195)	(219,466)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი - წმინდა		(11,685)	(2,164)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(265,831)	(57,057)
სხვა ხარჯები	20	(212)	(210)
საოპერაციო მოგება		(535,645)	6,724,811
ფინანსური შემოსავალი		-	64,352
ფინანსური ხარჯი		(54,229)	(168,016)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	21	(54,229)	(103,664)
მოგება დაბეგვრამდე	22	(589,874)	6,621,147
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(589,874)	6,621,147
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(589,874)	6,621,147

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები - დაფინანსება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	-	6,881,350	-	6,881,350
მოგება წლის ბოლოს		(589,874)		(589,874)
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(589,874)	-	(589,874)
გაცემული დივიდენდი		(2,200,000)		(2,200,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(680)		(680)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	4,090,796	-	4,090,796

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები - დაფინანსება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	-	6,881,350	-	6,881,350
მოგება წლის ბოლოს		(589,874)		(589,874)
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(589,874)	-	(589,874)
გაცემული დივიდენდი		(2,200,000)		(2,200,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(680)		(680)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	4,090,796	-	4,090,796

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: აკაკი ჯიქია



1. ზოგადი ინფორმაცია

ინფრა კონსტრაქშენ-თი-ქეი გრუპი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დამკვეთისათვის ახალქალაქი ჰესის (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2) სამშენებლო საქმიანობის შესრულება, სპეც ტექნიკის იჯარით გაცემა. საქმიანობის ადგილი არ არის მუდმივი და განისაზღვრება დამკვეთებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2021 წელს განხორციელებული პროექტების ფაქტიური ადგილი იყო: ახალქალაქის მუნიციპალიტეტი.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2020 წლის 16 ივნისი

კომპანიის დირექტორი: აკაკი ჯიქია

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს ინფრა კონსტრაქშენ (ს/კ:404900023) - 50%

შპს თი-ქეი გრუპ, (ს/კ: 200268548) - 50%

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს ინფრა კონსტრაქშენ (ს/კ:404900023).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
 - (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
 - (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის. დივიდენდის გამოცხადების თარიღში ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის გადახდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. (მობილურ კონსტრუქციებზე - წრფივი მეთოდი) ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

მობილური კონსტრუქციები	10 წელი
მანქანა-დანადგარები და ნაგებობები	15-20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები და სპეც ტექნიკა	10%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზია ვადიანია და შესაბამისად მისი ამორტიზება ხდება ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრული ვადის მიხედვით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ

განსაზღვრა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყოვნებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკუროსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
კურსი 2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება მომდევნო თვის ოცდახუთ რიცხვამდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

შპს ინფრა კონსტრაქშენ-თი-ქეი გრუპის 2021 წლის შესრულებული და მიმდინარე პროექტები:

2020 წლის 12 აგვისტოს შპს ინფრა კონსტრაქშენ-თი-ქეი გრუპსა და შპს აისი (400251543)-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების დასრულების თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 22 ივლისი.

2021 წელს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება შპს ანაგი ინფრა კონსტრაქშენტთან (ს/კ 404631813) ყოველთვიურად სპეც-ტექნიკის იჯარით გადაცემასა და მომსახურების შესახებ.

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

4. ძირითადი საშუალებები

	ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	850,481	1,321,901	35,423	763,568	101,592	3,987,299
შემოსვლა	-	-	-	72,168	-	72,168
გადაფასება						-
გასვლა		-	(4,726)	(18,227)	(49,140)	(72,093)
31 დეკემბერი 2022	850,481	1,321,901	30,697	817,509	966,786	3,987,374
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2021	(107,077)	(247,431)	(7,942)	(147,796)	(115,642)	(625,888)
პერიოდის ცვეთა	(90,227)	(161,171)	(5,496)	(126,156)	(90,028)	(473,079)
გაუფასურება		-		-		-
გასვლა			1,788	5,400	8,968	16,156
31 დეკემბერი 2022	(197,304)	(408,602)	(11,650)	(268,552)	(196,702)	(1,082,810)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2021	743,404	1,074,470	27,482	615,772	900,284	3,361,412
31 დეკემბერი 2022	653,177	913,299	19,047	548,957	770,084	2,904,564

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: შემცირებადი ნაშთის მეთოდი

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2022	2021
346,880	2,521,785
346,880	2,521,785

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (წმინდა)
 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსაურებიდან

2022	2021
714,510	1,078,611
714,510	1,078,611

7. მარაგები

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2022	2021
344,337	923,427
344,337	923,427

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა. მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

9. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა წინასწარ ანაზღაურებული ხარჯი

2022	2021
32,548	27,814
32,548	27,814

10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

გადასახდელი ხელფასები

2022	2021
0	112,041
0	112,041

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი
 მოკლევადიანი ვალდებულებები

2022	2021
213,166	606,308
213,166	606,308

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ადგილი არ ქონია.

12. საგადასახადო ვალდებულება

ქონების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი

2022	2021
38,878	59,841
0	92,002
38,878	151,843

13. მიღებული ავანსები

დამკვეთისგან მიღებული ავანსები

2022	2021
0	486
0	486

14. მოკლევადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი

2022	2021
0	161,020
0	161,020

15. გრძელვადიანი ვალდებულებები

სასესხო ხელშეკრულება გაფორმებულია სს თიბისი ბანკთან 2020 წლის 26 აგვისტოს. (ხელშეკრულების ნომერი: 7201873-11064925) 2022 წლის 26 დეკემბერს სრულად არის დაფარული სესხის ძირი თანხა.

16. ამონაგები

ამონაგები მომსახურების გაწევიდან

2022	2021
5,359,562	24,178,480
5,359,562	24,178,480

17. თვითღირებულება

ძირითადი მასალების დანახარჯები

პირდაპირი ხელფასი

საწვავი

მიღებული მომსახურება

ცვეთა

სხვა პირდაპირი ხარჯი

2022	2021
1,656,395	4,378,614
979,451	1,721,253
637,938	2,464,238
1,501,728	7,306,230
468,303	509,878
253,872	816,367
5,497,687	17,196,580

18. სხვა შემოსავლები

სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათი

საშემოსავლო გადასახადში

დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული
 ზარალი და სხვა შემოსავალი

2022	2021
0	9,586
4,402	12,223
4,402	21,809

19. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

2022	2021
341,970	1,866,737
(607,801)	(1,923,794)
(265,831)	(57,057)

20. სხვა ხარჯები

მოგების გადასახადით დასაბეგრ ხარჯზე
 დარიცხული გადასახადი

საპატრულო ჯარიმა

2022	2021
(52)	0
(160)	(210)
(212)	(210)

21. ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული

შემოსულობა/ზარალი - წმინდა

2022	2021
(11,685)	(2,164)
(11,685)	(2,164)

22. ფინანსური დანახარჯები (წმინდა)

სესხზე დარიცხული პროცენტის ხარჯი

საბანკო ანგარიშზე არსებულ დადებით ნაშთზე
 დარიცხული საპროცენტო შემოსავალი

2022	2021
(54,229)	(168,016)
0	64,352
(54,229)	(103,664)

23. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2022	2021
საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი	(5,497,687)	(17,196,580)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	(124,195)	(219,466)
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი -წმინდა	(11,685)	(2,164)
	(265,831)	(57,057)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)-წმინდა	(212)	(210)
სხვა ხარჯი	(54,229)	(168,016)
ფინანსური ხარჯი	(5,953,839)	(17,643,494)

23.დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2022	2021
შრომის ანაზღაურება მთლიანად	0	31,250
	0	31,250

24.ფინანსური ინსტრუმენტები-რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება რისკებს, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ პუნქტებში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის პროცესები და მეთოდები, რომელიც გამოიყენება მათ გასაზომად. შემდგომი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია ამ ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას აკისრია მთელი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის განსაზღვრისთვის და მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, რომ შექმნას და აამუშავოს პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას კომპანიის ფინანსურ მართვაში.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანი არის ისეთი პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც შეამცირებს რისკებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. დეტალები ამ პოლიტიკასთან მიმართებაში დადგენილია ქვემოთ. კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს.

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- საპროცენტო განაკვეთების რისკი;

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლიდანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების რისკი, შემდეგია:
ფინანსური აქტივები:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები - 346,880 ლარი;
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (წმინდა) – 714,510 ლარი;
ფინანსური ვალდებულებები:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები - 213,166 ლარი

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი სახსრების მართვით. ეს არის რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დადგება მისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მუშაობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ნაღდი ფულის ქონას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას მიმდინარე ვალდებულებების დაფარვისთვის.

საჭიროების შემთხვევაში კომპანიის დამატებითი დაფინანსების წყარო არის სააქციო კაპიტალი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს და არც განიხილავს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებით სარგებლობას.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

აკაკი ჯიქია

შპს ინფრა კონსტრუქშენ-თი-ქეი გრუპი
საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

აკაკი ჯიქია

